იონგ სიანგ ლი
“შიდა საქმე”
27.02.2022 – 02.04.2022

გალერეა ელ ცე კვაისარი მოხარულია გახსნას "შიდა საქმე", ჩანშაში დაბადებული, ფრანკფურტელი არტისტის იონგ სიანგ ლის პერსონალური გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია სამი ახალი ‘სკამი ფერწერები’: მოხატული მოდულარული ხის პანელები, დაკავშირებული ანჯამების საშუალებით, რითიც დაიშვება მათი სამგანზომილებიანი ფორმა კედლიდან მოცილებით და შესაძლო ხდება სკამისებურად დაშლა. დარღვეული ‘ბამბუკის პეიზაჟური ფერწერების’ იერით, ეს ნამუშევრები ეთამაშებიან დეკორატიულობის ხიბლს და მათი უბრალო ზედაპირობის სტატუსს, ამავდროულად ციტირებენ ეგზოტიკის ესთეტიკურ ისტორიას დასავლურ ხელოვნებასა და დიზაინში.

ლის მიდგომა ფერწერისადმი არის ისტორიულად ინფორმირებული, ისევე როგორც მიმიკრიული, მონაცვლეობს ტრომპ ლ’ეის ეფექტებს, პორტრეტსა და ობიექტის დიზაინს შორის. მხატვრულ სტილებსა და ობიექტურობის ფორმებს შორის არათანმიმდევრულ გაწევ-გამოწევაში ჩაბმით, მხატვარი მუშაობს მრავალმხრივად, რათა ხაზი გაუსვას სტილის ისტორიულ მნიშვნელობას და დაარღვიოს დასავლური ფერწერის „ტილოს ეკონომიკის“ მოჩვენებითი გამჭვირვალობა; ცხადყოფს, თუ როგორ მოსდევს ამ ეკონომიკას სოციოპოლიტიკური სტრიქონები.

"პიკნიკი ბამბუკის ბაღში" შთაგონებულია როკოკოს კლასიკური ‘აზიური’ პეიზაჟის მოტივებით, განსაკუთრებით ორნამენტული ხელოვნების ისტორიული პერიოდით, რომელიც იხიბლება ‘შორეული აღმოსავლეთის’ ესთეტიკით და ახდენს მის მცდარ ჰიპერბოლურ თარგმნას. ამ კულტურულმა ‘ზეიტგეისტმა’ გამოიწვია ორიენტალური მოტივების გააფთრებული ატაცებისა და წარმოდგენის პერიოდი დეკორატიულ დასავლურ სამომხმარებლო საქონელში - ტენდენცია, ცნობილი როგორც ‘ჩინოსერია’. ეს კვანძები საწყისი პუნქტების როლს ასრულებენ ლის ჩართულობაში ‘შორეული აღმოსავლეთის’ ყალბ ენასთან, როგორც არსებითად პლურალისტურ და ამბივალენტურთან: ტროპი, რომელიც, ერთის მხრივ, დაიმოწმებს კოლონიური ძალაუფლების საკითხებს, ხოლო მეორეს მხრივ, მასიური ‘ხალტურის’ ესთეტიკას, რომელიც თავისი მდაბიო დეკორატიული პრესტიჟიდან გამომდინარე, წარმოადგენს მაღალი ხელოვნების მითის ალტერნატივას.

ჩინოსერიის ინტერიერის დიზაინში ხელგაშლილი მითვისების ანაქრონიზმში, ლი პოულობს ფანჯარას დასავლური ფერწერის ტრადიციის კრიტიკული გადახედვისთვის და მიმართებისთვის ზედაპირთან, დეკორაციასთან და სახესხვაობასთან. მხატვრის სკამის ფერწერები დახატულ ფასადს აპირისპირებს დეკორატიულ ზედაპირთან: წარმოადგენს ფერწერებს, როგორც არაფერს მეტს (ან ნაკლებს), გარდა დახატული საგნებისა ან ობიექტებზე შესრულებული ფერწერებისა, მხიარულად უარყოფს ‘ყოფილი ნიჰილოს’, ‘ცარიელი ტილოს’ რომანტიკულ იდეას. ესთეტიკური სიღრმის, ავთენტურობისა და ინოვაციის ეს გმირული ცნება ღრმაა ფერწერის ისტორიაში და აღმოცენდა დასავლური იმპერიალისტური ექსპანსიის ისტორიის თანადროულად. ამ დომინანტური ესთეტიკური სისტემების მემკვიდრეობა დასავლურ თანამედროვეობაში არის ბინაურლი მსოფლმხედველობა, რომელიც ხელოვნების მამაკაცური ავტონომიური იდეის განდიდებითა და ნორმალიზებით, ერთად აქუჩებს რიგ ნიშან-სიმბოლოებს, როგორც სოციო-ესთეტიკურ ‘სხვებს’: ორნამენტი - ანუ ზედაპირული, ანუ ქალური, ანუ ეთნიკური.

ამ ისტორიულ ესთეტიკურ ჩარჩოებზე მიზანმიმართული თავდასხმის ნაცვლად, ლის სტრუქტურებში ფერწერული მედიისთვის ალტერნატიული ტრაექტორიის გადახედვა ხდება, რომელიც უბრუნდება მის ნაირსახოვან ისტორიებს სტილში, მედიუმში, გეოგრაფიებსა და ღირებულების ფორმებში. მხატვრის მიერ ფერწერის, როგორც ზედაპირის მიღება - არა როგორც ზედაპირი ‘საკუთარი გულისთვის’, არამედ ზედაპირი, რაღაცის მიმართ ან სამსახურში - ხაზს უსვამს მის გაუმღერებელ ისტორიას, როგორც დეკორატიულ, ტაქტილურ საგანს, ძალაუფლების უჩვეულო მიმართებებს, შრომის ფორმას. ამას ხაზი ესმევა ტექსტურულ, ქვიშიან ზედაპირებზე შესრულებულ მცირე ზომის პანელურ ფერწერებში, რომელიც იდეალურად ერგება გალერეის ფანჯრების ქვეშ არსებულ პანელებს. თითქოსდა შენობასთან ერთიანობით, ლი გვთავაზობს ფერწერას, როგორც საშუალებას, რომელიც, მისი დომინანტური ისტორიისგან დაცილებით, ახერხებს დაიმალოს ან შეიფუთოს სხვაგვარად, ვითარების შესაბამისად. სტუმრად, უცხოდ ან პრეტენდენტად ყოფნის თემები ექოდ გასდევს შოუში წარმოდგენილ ლის 2019 წლის ვიდეოს “ხედი შეკიდული ხიდიდან” (ფრანსუა პისაპიას კადრებით).

ტექსტი ჯეპე უგელვიგის მიერ